ქალთა საინფორმაციო ცენტრის

2023 წლის

მთავარი მიღწევები

Women's Information Center

დადგა ახალი 2024 წელი და დროა შევაჯამოთ განვლილი 2023. მადლობა გვინდა გადავუხადოთ ჩვენს თანამებრძოლებს, პარტნიორებსა და მხარდამჭერებს. გვჯერა, ერთად, კიდევ არაერთ გამოწვევას გავუმკლავდებით და ამ საქმეების შედეგი ხელს შეუწყობს საქართველოში გენდერულ თანასწორობას და ქალთა უფლებების დაცვას.

WIC-მა ისევე როგორც წინა წლებში, მიმდინარე წელსაც, აქტიურად ითანამშრომლა საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ არასამთავრობო/სათემო ორგანიზაციებთან და ქალ აქტივისტებთან.

Women's
Information
Center

Women's Information Center

გთავაზობთ
ქალთა საინფორმაციო ცენტრის
13 ძირითად მიღწევას

Women's Information Center

2023 წელს, WIC საერთაშორისო აღიარებით ასრულებს.

ქალთა საინფორმაციო ცენტრმა პრესტიჟული საერთაშორისო პროგრამის, CAREC-ის ჯილდო მოიპოვა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანას შორის, საქართველოდან GENDER CHAMPION 2023 გახდა.

გენდერული პოლიტიკის ლოკალიზაციის მიზნით, საქართველოს 9 მუნიციპალიტეტში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებშიც ერთიანდება როგორც ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის, ასევე ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობის კომპონენტები. გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმებში ინტეგრირებულია გუს რეზოლუცია #1325-ის საკითხები.

პარალელურად, საქართველოს პარლამენტში წარდგენილია და განხილვის პროცესშია ორი საკანონმდებლო ინიციატივა: ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, გენდერული სტატისტიკის სრულყოფის მიზნით და "ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათშორისი კომისიების შექმნის" მიზნით.

WPS დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელების მიმართულებით, WIC აქტიურად აგრძელებს მუშაობს საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე და არის ქსელების წევრი, რომლებშიც ერთიანდებიან ქალი მშვიდობის მშენებლები ევროპის, სამხრეთ კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან. აღსანიშნავია, რომ გარდა ადგილობრივ დონეზე მუშაობისა, WIC აგრძელებს საქმიანობას ქსელური მეთოდით, საერთაშორისო დონეზე. წელს ორგანიზაცია გახდა Equality Now-ს წევრი, რომლის ძირითადი მიმართულებაა სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა.

Women's Information Center

WIC-მა , როგორც ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის (Task Force) წევრმა და ორგანიზაციამ, რომელიც ათობით წელია მხარს უჭერს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდას, მიმდინარე წელს, სამიზნე მუნიციპალიტეტებში ქალ პოლიტიკოსებთან და ლიდერ ქალებთან 10 სამუშო შეხვედრა ჩაატარა.

WIC-ის ინიციატივითა და ორგანიზაციის ექსპერტული მხარდაჭერით, საქართველოს 5 მუნიციპალიტეტში (ზუგდიდი, ხაშური, ბოლნისი, ხარაგაული, ქედა), პირველად, შექმნილია და ფუნქციონირებს ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათშორისი კომისიები. კომისიების გაძლიერების მიზნით, ჩატარდა 6 სამუშაო შეხვედრა.

მთელი წლის განმავლობაში, ორგანიზაციამ აქტიური ადვოკატირების კამპანია ჩაატარა, რომლის ფარგლებში გაძლიერებული თემის ლიდერი ქალების ჩართულობით, გადაწყდა 26 პრობლემა, ხოლო 15 საკითხთან დაკავშირებით, აქტიური სამუშაო პროცესი გრძელდება.

ქალების წინაშე არსებული გამოწვევები, თავად გაძლიერებულმა ქალებმა წარადგინეს ერთი ფანჯრის პრინციპის მეთოდოლოგიით გამართულ შეხვედრებსა თუ სხვადასხვა პლატფორმაზე. დღის წესრიგში დადგა და გადაწყდა არაერთი სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემა, რომლებიც გამოწვევას წარმოადგენდა დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და მათი ოჯახებისთვის.

ქსც-ს საგანმანათლებლო კამპანიის ფარგლებში, საქართველოს 9 რეგიონში, ქალთა მიმართ ძალადობის, გენდერული პოლიტიკის და გუს რეზოლუცია #1325-ის საკითხების შესახებ გადამზადდა 1 629 ადამიანი, მათ შორის 1 221 (75%) ქალი და 408 (35%) კაცი .

ჩატარდა 128 თემატური ტრენინგი/სემინარი/შეხვედრა, რომელთა სამიზნე ჯგუფები იყვნენ გადაწყვეტილების მიმღები პირები, საჯარო მოხელეები, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, თემის ლიდერი ქალები, სოფლად მცხოვრები ქალები, კონფლიქტით დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული ქალები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები, შშმ პირები და სხვა მოწყვლადი ჯგუფები.

ორგანიზაციამ აქტიური საინფორმაციო კამპანია აწარმოა ქალთა უფლებების დაცვის, სტერეოტიპების აღმოფხვრის, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით. WIC-ის ქსელის წევრი გახდა კიდევ 81 ადამიანი (ბლოგერები/ვლოგერები/ ფოტოგრაფები/ გრაფიკული დიზაინერები), რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კონკურსში "ქალებს შეუძლიათ, ქალები მოქმედებენ, ქალები ცვლიან".

გამარჯვებული 25 ვლოგი/ბლოგი/ფოტოამბავი/პოსტერი ორგანიზაციის მედია კამპანიის ნაწილია და ხელმისაწვდომია ქსც-ს სოციალურ გვერდებზე, მათ შორის გენდერული საინფორმაციო პორტალზე www.ginsc.net.

Women's Information Center

აქტიურად ამუშავდა ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ შემუშავებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების/პროგრამების ინტერაქციული რუკა, სადაც დაინტერესებულ ადამიანებს შეუძლიათ გაეცნონ ინფორმაციას იმ სერვისებისა და პროგრამების შესახებ, რომლებიც არსებობს როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ დონეზე ქვეყნის მასშტაბით. რუკაზე ხელმისაწვდომია ყველა იმ არასამთავრობო ორგანიზაციის მონაცემები, რომლებიც მსხვერპლებს სხვადასხვა სერვისს სთავაზობს.

2023 წელს, განახლდა ქალთა საინფორმაციო ცენტრის ვებგვერდი, სადაც დაინტერესებულ პირს შეუძლია იხილოს ნებისმიერი ინფორმაცია ორგანიზაციული საქმიანობის შესახებ.

მომზადდა მედია მონიტორინგის ანგარიში, საქართველოს ტელემედიაზე დაკვირვების შედეგად. მონიტორინგის განხორციელება განაპირობა საზოგადოებაში არსებულმა იმ გამოწვევებმა, რომლებიც ხელშესახებია ქალთა ლიდერობისა და პოლიტიკური მონაწილეობა/ჩართულობის, გენდერული სამართლიანობის, ქალთა გაძლიერების, გენდერული ცნობიერების ამაღლების სფეროებში.

ანგარიშმა აჩვენა და წარმოაჩინა ის პრობლემები, რომლებსაც ხშირად აწყდებიან თანამედროვე ქალები მიუხედავად იმისა, რომ გენდერული კანონმდებლობა გამართულია, თუმცა უფლებების ნაწილი დღემდე, მხოლოდ ფორმალურად არის დაცული.

ლიდერი ქალების წახალისების მიზნით, დაორგანიზდა ისრაელის ელჩისა და ქალების ვიზიტი თეატრში, თემატურ სპექტაკლზე. ამ ინიციატივის ერთგვარი გაგრძელება იყო ისრაელის ელჩის, ჰადას მეიცადის მიწვევა სოფელ ჩორჩანაში. ანალოგიური აქტივობა ჩატარდა ქვემო ქართლში, სადაც ქსც-ს ინიციატივით, ბოლნისის მუნიციპალიტეტს დანიის ელჩი, ანე ტოფტ სორენსენი და დონორი ორგანიზაცია KVINFO-ს წარმომადგენლები ეწვივნენ.

ქსც-ს გუნდმა 2023-2024 წლების სამუშაო სტრატეგია დასახა. შემუშავდა სტრატეგიული დოკუმენტები და შემუშავდა საკომუნიკაციო გეგმა. სამუშაო შეხვედრების ფორმატში, ორგანიზაციის გუნდმა განიხილა ორგანიზაციის პოლიტიკა. ხაზი გაესვა გუნდურობის პრინციპის, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღირებულებას და გუნდის ახალ წევრებთან ერთად, ვიმსჯელეთ ახალი შესაძლებლობების შესახებ. დაზუსტდა, რომ გუნდის თითოეულ წევრს აერთიანებს საერთო ღირებულებები და სჯერა იმ საქმის, რომელსაც გულმოდგინედ ასრულებს.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი Kvinna Till Kvinna-ს მხარდაჭერით ატარებს კვლევას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ქალთა ორგანიზაციების/აქტივისტების საჭიროებების და არსებული გამოწვევების ანალიზს, რაც მოიაზრებს, ქალთა ორგანიზაციების სტატუსის, არსებული და საჭირო რესურსების განსაზღვრას, ასევე, დონორთა მხარდაჭერის ძირითადი ტენდენციებისა და პოლიტიკის შეფასებას. დოკუმენტი გამოქვეყნდება 2024 წლის დასაწყისში.